



ქალთა მიმართ  
ძალადობის და  
ოჯახში ძალადობის  
წინააღმდეგ  
ბრძოლისა და  
მსხვერპლთა  
(დაზარალებულთა)  
დასაცავად  
გასაძარებელ  
ლონისძიებათა

2018-2020 წლების  
სამოქმედო გეგმის  
2020 წლის ანგარიში

# სარჩევნი

## 3 შესავალი

---

4 მიზანი I. ქვეყნის კანონმდებლობა და პოლიტიკა ეფექტიანია და პასუხობს მსხვერპლთა/დაზარალებულთა საჭიროებებს;

---

10 მიზანი II. ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლებს (დაზარალებულებს) ხელი მიუწვდებათ და სარგებლობენ დაცვისა და დახმარების ხარისხიანი მომსახურებებით;

---

31 მიზანი III. საზოგადოებაში ნულოვანი ტოლერანტობის დამკვიდრება ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მიმართ;

# შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა სამოქმედო გეგმის (2018-2020) 2020 წლის შესრულების ანგარიშს, რომელიც შემუშავდა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნოს მიერ და განკუთვნილია, როგორც სამოქმედო გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი უწყებებისათვის, ასევე საქართველოს მთავრობისათვის და წარმოადგენს ინფორმაციულ დოკუმენტს საქართველოს სამინისტროებისა და სახელმწიფო მინისტრის აპარატისთვის. ანგარიში მოიცავს 2020 წლის ბოლომდე გათვალისწინებული აქტივობების შესრულების შესახებ ინფორმაციას. მასში მოცემულია სამოქმედო გეგმის საფუძველზე განსახორციელებელი აქტივობები, ამოცანები, მათი შესრულების ინდიკატორები, მოცემულია სამოქმედო გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი უფლებამოსილი უწყებების და პარტნიორი უწყებების საქმიანობის შესახებ ინფორმაცია, ასევე მის შესრულებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები.

ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა სამოქმედო გეგმა (2018-2020) წარმოადგენს „საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის (2014-2020 წლებისთვის)“ აღსრულების ინსტრუმენტს. გეგმა დამტკიცდა საქართველოს მთავრობის 2018 წლის 11 აპრილის №175 დადგენილებით, რომლითაც განისაზღვრა ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელი ღონისძიებები და პასუხისმგებელ უწყებათა უფლებამოსილების ფარგლები.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულება და მიღწეული შედეგების შენარჩუნება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სამართლებრივი ფასეულობებისა და დემოკრატიული სახელმწიფოს სტანდარტების შესაბამისად დაცვას.

# **მიზანი I. ქვეყნის კანონმდებლობა და პოლიტიკა ეფექტიანია და კასუსობს მსხვერპლთა/დაზარალებულთა საჭიროებებს;**

## **ინდიკატორი 1.1.**

მსხვერპლთა/დაზარალებულთა რეკომენდაციების რაოდენობა, რომელიც ასახულია ქვეყნის პოლიტიკის განმსაზღვრელ დოკუმენტებში;

**საბაზისო:** 0 (2017);

**სამიზნე:** 50%;

(**წყარო:** ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ანგარიში);

## **ინდიკატორი 1.2.**

რეციდივის მაჩვენებელი;

**საბაზისო:** განისაზღვროს 2018 წელს;

**სამიზნე:** შემცირება 5 %;

(**წყარო:** განისაზღვროს 2018 წელს).

## **ამოცანა 1.1.**

კანონმდებლობა და სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტები შესაბამისობაშია საერთაშორისო სტანდარტებთან;

**ამოცანის ინდიკატორი:** ინდიკატორი 1.1.ა სტამბოლის კონვენციის ნორმების %, რომელიც ასახულია კანონმდებლობაში;

**საბაზისო:** განისაზღვროს 2018 წელს;

**სამიზნე:** 90 %;

**წყარო:** სსიპ - საქართველოს საკანონმდებლო მაცნე;

### **ინდიკატორი 1.1.ბ.**

გაეროს სპეციალური მომხსენებლის ქალთა მიმართ ძალადობის, მისი გამომწვევი მიზეზებისა და შედეგების შესახებ საქართველოს ანგარიშში ასახული შესრულებული რეკომენდაციების %;

**საბაზისო:** განისაზღვროს 2018 წელს;

**სამიზნე:** 90%;

(**წყარო:** გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია);

### **ინდიკატორი 1.1.გ.**

შექმნილი სტატისტიკის წარმოების ერთიანი სტანდარტი და სტატისტიკა ხელმისაწვდომია;

**საბაზისო:** არ არსებობს (2017);

**სამიზნე:** ერთიანი სტანდარტი შექმნილია, სტატისტიკა ხელმისაწვდომია;

**წყარო:** გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია.

### **საქმიანობა 1.1.3**

სტატისტიკის წარმოების ერთიანი სტანდარტის შექმნა;

**შესრულების სტატუსი:** არ შესრულდა;

**პასუხისმგებელი უწყება:** სსიპ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

სტატისტიკის წარმოების ერთიანი სტანდარტის შემუშავება/დამტკიცება საანგარიშო პერიოდში არ განხორციელებულა.

### საქმიანობა 1.1.4

სტატისტიკის წარმოება და მონაცემების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

**შესრულების სტატუსი:** განხორციელდა; საქსტატი - განხორციელდა; მთავარი პროკურატურა - განხორციელდა; საქართველოს საერთო სასამართლოები - განხორციელდა; შინაგან საქმეთა სამინისტრო - განხორციელდა.

**პასუხისმგებელი უწყება:** საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს გენერალური პროკურატურა, საქართველოს საერთო სასამართლოები;

**პარტნიორი უწყება:** სსიპ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი პერიოდულად უზრუნველყოფს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე ოჯახში ძალადობის სტატისტიკის გამოქვეყნებას. შემაკავებელი ორდერების სტატისტიკის დამუშავება ხდება ჩაშლილი მონაცემების მიხედვით (რეგიონი, სქესი, მსხვერპლი, მოძალადე). სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე პროაქტიურად ქვეყნდება რეგისტრირებული დანაშაულის სტატისტიკაც. შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი დანაყოფი, დაინტერესებულ მხარეს, კანონით განსაზღვრულ ვადაში, აწვდის მოთხოვნილ ინფორმაციას ოჯახურ დანაშაულებზე და ოჯახში ძალადობის ფაქტებზე დაკავშირებულ სტატისტიკურ მონაცემებზე.

საქართველოს გენერალურ პროკურატურაში, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11' და 126' მუხლებით დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნის თაობაზე სტატისტიკას 2012 წლიდან აწარმოებს ანალიტიკური სამმართველო. 2020 წლის დეკემბერში ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახური დანაშაულის თემაზე საქართველოს გენერალურ პროკურატურაში გაიმართა ონლაინ შეხვედრა, რომლის ფარგლებში დამსწრე საზოგადოებას წარედგინა ოჯახური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ტენდენციები, მიღწევები და გამოწვევები, აგრეთვე ოჯახურ დანაშაულებზე 2014-2020 წლებისა და გენდერული დისკრიმინაციის მოტივის იდენტიფიცირების 2020 წლის 9 თვის სეგრეგირებული სტატისტიკური მონაცემები. იხ. ანგარიში პროკურატურის ვებ-გვერდზე: <http://pog.gov.ge/uploads/288ed1a2-ojaxuri-danashaulis-tendenciebi-miRwevebi-da-gamowvevebi.pdf>

ზემოთ აღნიშნული მუხლების მიხედვით სტატისტიკური ინფორმაციის აღრიცხვა ხდება შემდეგი პარამეტრების საფუძველზე: დევნის დაწყება, დევნის შეწყვეტა, დევნის არდაწყება, დაზარალებული პირი. 2019 წლის 1 ოქტომბრიდან გენერალური პროკურატურის ანალიტიკური სამმართველო გადავიდა სისხლის სამართლის საქმის წარმოების ახალ ელექტრონულ პროგრამაზე და ოჯახურ ძალადობასა და ოჯახური ნიშნით ჩადენილ დანაშაულებზე შესაძლებელი გახდა სრულყოფილი სტატისტიკური ინფორმაციის აღრიცხვა. კერძოდ, შესაძლებელია დაზარალებული და ბრალდებული პირების კომბინაციით სხვადასხვა ქრილში სტატისტიკური ინფორმაციის დათვლა/დამუშავება.

საქართველოს გენერალური პროკურორის ბრძანების საფუძველზე, ქალთა მიმართ გენდერული ნიშნით ჩადენილ დანაშაულებთან დაკავშირებით დაწყებული სისხლის-სამართლებრივი დევნის თაობაზე, სტატისტიკის აღრიცხვას ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველო აწარმოებს. 2020 წელს ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს მიერ შესწავლილ და გაანალიზებულ იქნა გენდერული დისკრიმინაციის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე წარმოებული სისხლის სამართლის საქმეები და მომზადდა შესაბამისი ანგარიში, რომელიც საჭაროდ ხელმისაწვდომი პროკურატურის ვებ-გვერდზეა და ასახავს 2020 წლის 9 თვის სეგრეგირებულ სტატისტიკურ მონაცემებს, ინფორმაციას დაწყებული გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის შესახებ, პროკურატურის მიღწევებს, გამონწვევებსა და გენდერული დისკრიმინაციის მოტივით ჩადენილ დანაშაულებთან ბრძოლის სამომავლო ნაბიჯებს. იხ. <http://pog.gov.ge/uploads/ff724131-genderuli-diskriminaciis-motivi-9-Tve.pdf>;

გარდა აღნიშნულისა, საქართველოს პროკურატურის ვებგვერდზე გამოქვეყნდა საქართველოს გენერალური პროკურორის 2020 წლის საქმიანობის ანგარიში, სადაც ცალკე თავი დაეთმო ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობას, მათ შორის გენდერული ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ქალთა მიმართ ჩადენილ დანაშაულებსა და 2020 წლის სტატისტიკურ მონაცემებს. იხ. <http://pog.gov.ge/uploads/c7c23efb-generaluri-prokuraturis-saqmianobis-angarishi-2020-compressed.pdf>;

ევროკავშირის პროგრამის ფარგლებში საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით შეიქმნა ინდიკატორთა ჩამონათვალი, რომელთა მიხედვითაც სასამართლომ უნდა აწარმოოს სტატისტიკა ძალადობის ყველა ფორმის მიხედვით ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის თაობაზე; მოხდა აღნიშნული ინდიკატორების შეჯერება შინაგან საქმეთა სამინისტროში უკვე არსებული ინდიკატორების ბაზასთან; გაიწერა ცვლადთა ჩამონათვალი, რომელიც აუცილებელია სასამართლოში სრულყოფილი მონაცემების მისაღებად.

2019 წელს უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე პირველად გამოქვეყნდა მონაცემები ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის თაობაზე გამოცემული დამცავი ორდერების შესახებ, სადაც ინფორმაცია ჩაშლილია სქესის და ძალადობის ფორმების მიხედვით. აღნიშნული ინფორმაცია ყოველკვარტალურ ფორმატში არის განახლებადი და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის.

პარალელურ რეჟიმში 2020 წელს სასამართლო სისტემაში შეიქმნა და სატესტო რეჟიმში დაინერგა დამცავი ორდერების აღრიცხვის მინი პროგრამა, სადაც თავს მოიყრის ყველა ინფორმაცია აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით და შესაძლებლობა იქნება სტამბოლის კონვენციით გათვალისწინებული მაჩვენებლების (მსხვერპლისა და მოძალადის ასაკი და სქესი, ძალადობის ფორმები, ტერიტორიული განფენილობა, დამოკიდებულება მოძალადესა და მსხვერპლს შორის) სრულყოფილად დამუშავება.



### საქმიანობა 1.2.1

მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობის მექანიზმის შემუშავება არსებული გენდერული თანასწორობის საბჭოებსა და გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირების მონაწილეობით;

**შესრულების სტატუსი:** განხორციელდა;

**პასუხისმგებელი უწყება:** გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია;

**პარტნიორი უწყება:** საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.

ადამიანის უფლებების და გენდერული თანასწორობის საკითხებზე ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან თანამშრომლობის გაძლიერება 2020 წელს პრიორიტეტად განისაზღვრა. წლის განმავლობაში, მთავრობის ადმინისტრაციის წარმომადგენლების ორგანიზებით, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან არაერთი შეხვედრა გაიმართა. თუმცა, პანდემიიდან გამომდინარე, მნიშვნელოვნად შეიზღუდა ფიზიკური შეხვედრების ჩატარების შესაძლებლობა. შესაბამისად, გამოიკვეთა ალტერნატიული მექანიზმის დანერგვის აუცილებლობა. არასამთავრობო ორგანიზაცია მუნიციპალური სერვისების ასოციაციასთან (MSPA) თანამშრომლობით, თვითმმართველობების წარმომადგენელთა ჩართულობით, ჩატარდა გამოკითხვა ალტერნატიულ საინფორმაციო პლატფორმებთან და ინფორმაციის მიღების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. გამოკითხვის შედეგად, სოციალური ქსელით ინფორმაციის მიღება დასახელდა ყველაზე ხელსაყრელ გზად. შესაბამისად, მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა სამდივნოს მიერ, 2020 წელს შეიქმნა და ამოქმედდა ადგილობრივ ხელისუფლებასთან თანამშრომლობის პლატფორმა სოციალურ ქსელში. პლატფორმა გამოიყენება ინფორმაციის გაზიარებისთვის, მუნიციპალიტეტთა ჩართულობისა და კოორდინაციის გაზრდისა და ხელშეწყობისთვის. პლატფორმა მუნიციპალიტეტებში ადამიანის უფლებების საკითხებზე მომუშავე 130 წევრს აერთიანებს, რომელთა მიერ ცენტრალურ ხელისუფლებასთან თანამშრომლობის მსგავსი მექანიზმის არსებობა დადებითადაა შეფასებული. პლატფორმის საშუალებით ასევე ზიარდება ინფორმაცია გენდერული თანასწორობის, ქალთა უფლებების, გაძლიერების, ოჯახში ძალადობის საკითხებზე, ასევე, საჯარო მოხელეთა ცოდნის გაღრმავების შესაძლებლობების შესახებ. შედეგად, გაიზარდა მსგავს ღონისძიებებში ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა ჩართულობა.



### საქმიანობა 1.2.3

პოლიტიკის დოკუმენტებსა და პროგრამებში ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხთა ინტეგრირების მიზნით მუნიციპალიტეტების მხარდაჭერა;

**შესრულების სტატუსი:** მიმდინარე - ნაწილობრივ შესრულდა; საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო: განხორციელდა.

**პასუხისმგებელი უწყება:** გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია;

**პარტნიორი უწყება:** საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ჩართულობით შემუშავებულ იქნა „მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის შედგენის პრაქტიკული სახელმძღვანელოს“ პროექტი. აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს გენდერულ ასპექტებს. სამინისტრო მართავს კონსულტაციებს ადგილობრივი თვითმმართველობის ასოციაციასთან გენდერული თანასწორობის საკითხებზე, რაც მოაზრებს, მათ შორის, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხების, სახელმძღვანელოში ინტეგრირების თაობაზე მოსაზრებების გაზიარებას.. აღსანიშნავია, რომ ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხების ასახვის თაობაზე საუბარია საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან თანამშრომლობით, მუნიციპალიტეტებისთვის შექმნილ გზამკვლევში „პრაქტიკული რჩევები ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებისათვის გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების პროცესში“.

ასევე, იხ. **საქმიანობა 1.2.1.**

## **მიჯანი II. ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლებს (დაზარალებულებს) ხელი მიუწვდებით და სარგებლობენ დაცვისა და დახმარების ხარისხიანი მომსახურებებით;**

### **ამოცანა 2.1.**

სახელმწიფო სტრუქტურების შესაძლებლობები გაზრდილია ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დაცვისა და დახმარებისთვის;

**ინდიკატორი 2.1.ა:** ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე სპეციალიზებული კადრების ან/და ერთეულის არსებობა;

**საბაზისო: 2** (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო);

### **სამიზნე: 3**

**წყარო:** საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია).

**ინდიკატორი 2.1.ბ:** ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა გამოვლენის, მათი დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის შესახებ, მათ უფლებამოსილებაში შემავალი საკითხების თაობაზე, შიდა ინსტრუქციების რაოდენობა;

### **საბაზისო: 0 (2017);**

**სამიზნე: 5** საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო, საქართველოს გენერალური პროკურატურა, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;

**წყარო:** საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო, საქართველოს გენერალური პროკურატურა, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;

**ინდიკატორი 2.1.გ:** გამოცემული შემაკავებელი ორდერების რაოდენობა;

**საბაზისო: 3921;**

(2017 წლის 29 დეკემბრის მდგომარეობით) = 100%;

**სამიზნე:** ზრდა 5%;

**წყარო:** საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

### **საქმიანობა 2.1.1**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში ( სსიპ – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის ფარგლებში) მოქმედი თავშესაფრებისა, კრიზისული ცენტრების და ცხელი ხაზის მდგრადობისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფა, რაც მოიცავს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფონდისთვის გამოყოფილ ასიგნებებში აღნიშნული კომპონენტების გათვალისწინებას;

**შესრულების სტატუსი:** განხორციელდა;

**პასუხისმგებელი უწყება:** გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია;

**პარტნიორი უწყება:** საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს (შემდგომში “სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო”) ფარგლებში ძალადობის (მათ შორის: ოჯახში ძალადობის, ქალთა მიმართ ძალადობის, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) და სექსუალური ძალადობის) მსხვერპლთათვის მოქმედებს - 5 თავშესაფარი და 5 კრიზისული ცენტრი, ასევე ფუნქციონირებს 24 საათიანი საკონსულტაციო ცხელი ხაზი (116 006). მათი მდგრადობა და შეუფერხებელი ფუნქციონირება უზრუნველყოფილია სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს გამოყოფილი საბიუჯეტო ასიგნებებით.

პანდემიური მდგომარეობიდან გამომდინარე მოხდა თავშესაფრების დამცავი საშუალებებით აღჭურვა, ისინი ჩვეულ რეჟიმში აგრძელებენ მუშაობას. მიმდინარეობს ბენეფიციარების და თანამშრომლების რუტინული ტესტირება ინფექციის პრევენციისთვის.

### საქმიანობა 2.1.2

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაბამისი პროგრამების ფარგლებში სექსუალურ ძალადობის მსხვერპლთა სათანადო მომსახურების უზრუნველყოფა;

**შესრულების სტატუსი:** განხორციელდა;

**პასუხისმგებელი უწყება:** საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

რეფერალური მომსახურების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, სექსუალური ძალადობის მსხვერპლთათვის გათვალისწინებულია პოსტკოიტალური კონტრაცეფციით / სგგდ ტესტირებითა და მკურნალობით უზრუნველყოფა.

### საქმიანობა 2.1.3

სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს მდგრადობისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფა;

**შესრულების სტატუსი:** განხორციელდა;

**პასუხისმგებელი უწყება:** საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

“სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს ცენტრალური აპარატის სტრუქტურული და ტერიტორიული ერთეულების დებულებების დამტკიცების თაობაზე” სააგენტოს დირექტორის ბრძანებაში, 2019 წლის 25 აპრილს შევიდა ცვლილება (N04-881/ო), რომლის საფუძველზეც ტერიტორიული ერთეულების ხელმძღვანელები უფრო აქტიურად არიან ჩართულები სოციალური მუშაკების მუშაობაში. სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს სამხარეო ცენტრებსა და რაიონულ განყოფილებათა უმრავლესობაში მოეწყო დამოუკიდებელი კონფიდენციალური გასაუბრების ოთახები. სააგენტოს 39 რაიონულ განყოფილებაში დამონტაჟდა საგანგაშო დაცვის დილაკები (სოციალური მუშაკების მოთხოვნით). სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალური მუშაკების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით, თბილისის ხუთივე რაიონში მიმაგრებულია თითო-თითო ავტომანქანა, ხოლო რეგიონებში განაწილებულია 12 ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალება. ნებისმიერი სხვა საჭიროების შემთხვევაში, დღე-ღამის განმავლობაში, ყველა ქალაქსა და რაიონში მომსახურება ხორციელდება სააგენტოს სარგებლობაში არსებული მორიგე ავტოსატრანსპორტო საშუალებებით. სოციალური მუშაკების ხელფასების ზრდა იგეგმება “სოციალური მუშაობის შესახებ” საქართველოს კანონის სამოქმედო გეგმის შესაბამისად, 2020 წლიდან მათი ანაზღაურება განისაზღვრა 1200 ლარით.

### საქმიანობა 2.1.4

ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე სოციალური მუშაკთა რაოდენობის ზრდა 10-30%-ით;

**შესრულების სტატუსი:** განხორციელდა;

**პასუხისმგებელი უწყება:** საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

2020 წელს სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს სტრუქტურულ ერთეულებში (კრიზისული ცენტრი და თავშესაფარი) სოციალურ მუშაკთა რაოდენობა გაიზარდა (სულ 7 სოც. მუშაკი) ფაქტობრივად დასაქმებული სოციალური მუშაკების რაოდენობა გაიზარდა 17 % ით. (01.02.2020 წლიდან, მეურვეობისა და მზრუნველობის, აგრეთვე, საერთაშორისო შვილად აყვანის მიმართულებებით, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ფუნქციები და უფლებამოსილებები გადაეცა სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს. შესაბამისად, სოციალურ მუშაკთა რაოდენობის ზრდის შესახებ ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას 01.02.2020 წლიდან 01.01.2021 წლამდე პერიოდს).

### საქმიანობა 2.1.5

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა (დაზარალებულთა) იდენტიფიცირების მექანიზმების შემუშავება/გაუმჯობესება;

**შესრულების სტატუსი:** მიმდინარე - მეტწილად შესრულდა;

**პასუხისმგებელი უწყება:** გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია;

**პარტნიორი უწყება:** საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

პანდემიის მიუხედავად, 2020 წელს, მუშაობას აგრძელებდა გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის მიერ, სტამბოლის კონვენციის შესაბამისად, შექმნილი “ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელ ჯგუფი” (სტატუსის განმსაზღვრელი ჯგუფი). სტატუსის განმსაზღვრელი ჯგუფი უზრუნველყოფს სახელმწიფო სერვისების მისაწვდომობას იმ ადამიანებისთვის, რომელთაც არ სურთ მიმართონ სამართალდამცავ უწყებებს ქალთა მიმართ და/ან ოჯახში ძალადობის შესახებ, თუმცა, საჭიროებენ დახმარებას და სახელმწიფოს მიერ შეთავაზებულ სერვისებს. ჯგუფი წყვეტს პირისათვის ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მინიჭების ან ასეთი სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის საკითხს.

პანდემიის პირობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მიმნიჭებელი ჯგუფის შეუფერხებელი მუშაობა, რაც უზრუნველყოფილი იქნა ჯგუფის მუშაობის დისტანციურ რეჟიმში გადატანით. 2020 წლის განმავლობაში მსხვერპლის სტატუსის მინიჭების თხოვნით ჯგუფს მიმართა 17-მა პირმა, აქედან 16-მა ქალმა და 1-მა კაცმა. 17-ივე პირს საშუალოდ 48 საათში მიენიჭა ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსი.

სტატუსის განმსაზღვრელი ჯგუფის მუშაობის გაუმჯობესების მიზნით, 2018 წლის ოქტომბრის თვეში, გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიასთან არსებული ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელი ჯგუფის (მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფის) წევრებს დაეგზავნათ შეფასების კითხვარი, რომელიც მოიცავდა კითხვებს პრაქტიკულ გამოწვევებთან დაკავშირებით. პასუხების გაანალიზების შედეგად გამოვლინდა პრობლემები და გამოიკვეთა რეფორმის განხორციელების საჭიროება. გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) მხარდაჭერით დაქირავებულ იქნა ექსპერტი, რომელმაც დაიწყო მუშაობა ჯგუფის ფორმირების კონცეფციის შემუშავებაზე. აღნიშნული პროცესის მხარდასაჭერად, 2019 წლის 5 თებერვალს გაიმართა შეხვედრა სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელთა მონაწილეობით.

2020 წელს ადამიანის უფლებათა უწყებათაშორის საბჭოს გენდერული თანასწორობის კომისიის, რელევანტური სახელმწიფო უწყებების ჩართულობით და გაეროს მოსახლეობის ფონდის მხარდაჭერით განახლდა და დასრულდა მუშაობა ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა გამოვლენის, მათი დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის ეროვნული რეფერირების პროცედურების დოკუმენტზე.

აღნიშნული დოკუმენტის პირველადი ვერსია შემუშავებული იქნა 2017 წელს, შესაბამისად, 2020 წელს რედაქტირებულ ვერსიაში სრულად არის ასახული ის საკანონმდებლო და ინსტიტუციური ცვლილებები, რომლებიც ბოლო წლების განმავლობაში ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მიმართულებით განხორციელდა. დოკუმენტში, ასევე, ასახულია განსხვავებული საჭიროებების მქონე ადამიანების მხარდამჭერი მექანიზმები. ეროვნული რეფერალური მექანიზმი 2021 წელს დამტკიცდება.

2020 წლის განმავლობაში, ადამიანის უფლებათა საბჭოს გენდერული თანასწორობის კომისიის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიით, საჯარო უწყებაში სექსუალურ შევიწროებაზე რეაგირების მექანიზმების დანერგვა დაიწყო.

2019 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონით სექსუალური შევიწროება განისაზღვრა, როგორც დისკრიმინაციის ერთ-ერთი ფორმა. აღნიშნული კანონი ვრცელდება საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროზე, როგორებიცაა: შრომითი და წინასახელშეკრულებო ურთიერთობები, კერძოსამართლებრივი ურთიერთობები, მათ შორის, საჯარო სექტორში დასაქმებისას.



კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში სექსუალური შევიწროების შემთხვევაში, პირს შეუძლია გამოიყენოს შიდა ორგანიზაციული დაცვის მექანიზმები ასეთის არსებობის შემთხვევაში, ასევე მიმართოს სასამართლოს ან საქართველოს სახალხო დამცველს.

განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, სექსუალური შევიწროების სამუშაო ადგილზე რეგულირების მიზნით, დამსაქმებელი ვალდებული გახდა მიიღოს ზომები დაწესებულებაში დასაქმებულ პირთა მიმართ თანაბარი მოპყრობის უზრუნველსაყოფად, დისკრიმინაციის ამკრძალავი დებულებები ასახოს დაწესებულების შინაგანაწესსა და სხვა დოკუმენტებში და უზრუნველყოს მათი შესრულება.

კანონის მოთხოვნის ეფექტიანი აღსრულებისათვის, 2020 წელს ადამიანის უფლებათა უწყებათაშორისი საბჭოს გენდერული თანასწორობის კომისიის და გაეროს ქალთა ორგანიზაციის თანამშრომლობით, დაიწყო სექსუალურ შევიწროებაზე რეაგირების შიდა მექანიზმების დანერგვა 9 სახელმწიფო უწყებაში. კერძოდ, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში, სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროში, სსიპ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში, სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურში და სსიპ - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრში.

შედეგად, ექსპერტის ჩართულობით, თითოეულ უწყებაში სექსუალურ შევიწროებაზე რეაგირების შიდა მექანიზმი ჩამოყალიბდა. დანერგვასთან ერთად, მექანიზმები ასევე ითვალისწინებს ცნობიერების ამაღლებას უწყების შიგნით.



## საქმიანობა 2.1.6

სატრენინგო მოდულების მომზადება პროფესიული უნარ-ჩვევების გასაძლიერებლად სოციალური მუშაკებისთვის, ფსიქოლოგებისთვის, სოციალური აგენტებისთვის, მასწავლებლებისთვის, მანდატურის სამსახურისთვის, ჯანდაცვის მუშაკებისათვის, სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახურის იურისტებისათვის;

**შესრულების სტატუსი:** საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო - განხორციელდა; სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური - განხორციელდა; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო - განხორციელდა; სსიპ - საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია-განხორციელდა;

**პასუხისმგებელი უწყება:** საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; სსიპ - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი, სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური, სსიპ - საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია.

სსიპ-იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ 2020 წელს შემუშავდა 6 სატრენინგო მოდული.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ UN Women-ის მხარდაჭერით, უზრუნველყო ტრენინგ-მოდულის განახლება: “ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე”; აღნიშნული მოდული შედგება 4 სესიისგან. მოდულის ძირითადი თემებია: ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა, გენდერული ძალადობის ზეგავლენა და შედეგები, საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობა, ასევე, საკანონმდებლო ცვლილებები და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მსხვერპლთა ეფექტურად დაცვისა და დახმარებისათვის მოქმედი რეფერირების სისტემა და მსხვერპლთა დაცვის მექანიზმები.

## საქმიანობა 2.1.7

პროფესიული უნარ-ჩვევების გაძლიერება ოჯახში ძალადობის, ქალთა მიმართ ძალადობის, მათ შორის, სექსუალური ძალადობის საკითხებზე: სოციალური მუშაკებისთვის, ფსიქოლოგებისთვის, სოციალური აგენტებისთვის, მასწავლებლებისთვის, მანდატურის სამსახურისთვის, ჯანდაცვის მუშაკებისათვის, სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახურის იურისტებისათვის;

**შესრულების სტატუსი:** საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო - განხორციელდა; სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური - განხორციელდა; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო - განხორციელდა; სსიპ - საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია - განხორციელდა;

**პასუხისმგებელი უწყება:** საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; სსიპ - ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი, სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტრო, სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური, სსიპ - საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ, სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოსთან პარტნიორობით, 2020 წელს განხორციელდა „საქართველოს ბავშვები“ პროექტის აქტივობები, რომლის მიზანია: სააგენტოში დასაქმებული ფსიქოლოგების გაძლიერება.

„სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნის შესაბამისად, სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს სტრუქტურული ერთეულების (თავშესაფარი და კრიზისული ცენტრი) ყველა სოციალურმა მუშაკმა გაიარა სავალდებულო სერტიფიცირების კურსები.

სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურმა, 2019 წლის განმავლობაში შეიმუშავა და ეტაპობრივად დაიწყო 11 საჯარო სკოლაში საპილოტე პროექტის განხორციელება, რომლის მიზანია ძალადობის, მათ შორის, ბულინგისა და ნივთიერებების ავადმომხმარების პრევენცია. 2020 წლის განმავლობაში აღნიშნული პროექტი აქტიურად მიმდინარეობდა 11-ივე საპილოტე სკოლაში. პროექტის ფარგლებში, ხორციელდება საგანმანათლებლო დაწესებულების ყველა რგოლთან ინტერვენცია: პედაგოგები, ადმინისტრაცია, მშობლები, მოსწავლეები.

სსიპ-იურიდიული დახმარების სამსახურმა 2020 წელს განახორციელა 4 ტრენინგი სამსახურის იურისტებისთვის.

2020 წელს იურიდიული დახმარების სამსახურმა USAID/PROLoG-ის გრანტის ფარგლებში ჩაატარა 3 ტრენინგი თემაზე „ბავშვთა ბულინგი, ბავშვთა მიმართ და ოჯახში ძალადობა“. ტრენინგს ჯამში დაესწრო იურიდიული დახმარების სამსახურის 54 თანამშრომელი. ტრენინგის დღის წესრიგი მოიცავდა შემდეგ საკითხებს: ბავშვთა ჩაგვრისა და ძალადობის მასშტაბები; ძალადობის ფორმა, მიზეზები და შედეგები; ტოლერანტობა და ინკლუზიური განათლება; ძალადობის მსხვერპლ ბავშვებთან და მშობლებთან კომუნიკაციის ფსიქოლოგიური ასპექტები; ოჯახში ძალადობის საკითხები და კავშირი ოჯახში ძალადობასა და სკოლაში ბავშვთა ბულინგს შორის.

2020 წელს ევროპის საბჭოს (CoE) მხარდაჭერით ჩატარდა ერთი ტრენინგი (9 სთ) თემაზე - „ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის საერთაშორისო და ეროვნული სტანდარტები“. ტრენინგს დაესწრო 15 იურისტი. ტრენინგზე განხილული იყო შემდეგი საკითხები: ქალთა ხელმისაწვდომობა მართლმსაჯულებაზე; გენდერული მიკერძოება იურიდიულ საქმისწარმოებაში; ქალთა ხელმისაწვდომობა მართლმსაჯულებაზე; გამოწვევები და ბარიერები; ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა ხელმისაწვდომობა მართლმსაჯულებაზე, საერთაშორისო და ადგილობრივი სტანდარტები; ოჯახში ძალადობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით; ოჯახში ძალადობისა და გენდერული ძალადობის რეგულაციები და პრაქტიკა საქართველოში; ეფექტური გამოძიება, მსხვერპლზე ორიენტირებული მიდგომა და ადვოკატის როლი ქართულ სამართლებრივ სისტემაში.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ საანგარიშო პერიოდში ოჯახში ძალადობისა და ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე ადვოკატთა, მათ შორის, სსიპ-იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატთა უნარ-ჩვევების გაძლიერების მიზნით, „ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის საკითხებზე“ განახლებული მოდულის შესაბამისად ჩატარდა 12 ტრენინგი და გადამზადება გაიარა 244-მა ადვოკატმა, აქედან 146-მა ქალმა, 98-მა კაცმა.

### საქმიანობა 2.1.10

პროკურორთა სპეციალიზაციის გაძლიერება ოჯახში ძალადობისა და ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე (მათ შორის, წელიწადში არანაკლებ 4 ტრენინგი);

**შესრულების სტატუსი:** განხორციელდა;

**პასუხისმგებელი უწყება:** საქართველოს გენერალური პროკურატურა.

2020 წელს ევროპის საბჭოსთან თანამშრომლობით, ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის კუთხით სპეციალიზებული პროკურორებისთვის HELP-ის პლატფორმის გამოყენებით განხორციელდა 3 თვიანი დისტანციური სასწავლო კურსი - ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის თემაზე, რომლის ფარგლებშიც სწავლება გაიარა 20-მა მსმენელმა.

2020 წელს აშშ-ის საელჩოს მხარდაჭერით ოჯახში ძალადობის თემაზე სპეციალიზებული პროკურორებისთვის განხორციელდა დისტანციური ტრენინგი, რომლის ფარგლებშიც გადამზადდა 19 პროკურორი. ტრენინგი ერთობლივი ფორმატის იყო და მასში პროკურორებთან ერთად მონაწილეობას იღებდნენ მოსამართლეები და პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტის წარმომადგენელი.

2020 წელს სქესობრივი დანაშაულების გამოძიებისა და დევნის საერთაშორისო სტანდარტების თემაზე პროკურორებისთვის დისტანციური ტრენინგი ჩატარდა. სწავლებაში ჩართული იყო ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის კუთხით სპეციალიზებული 15 პროკურორი.

2020 წელს ევროპის საბჭოს მხარდაჭერით, ქალების მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის თემაზე მენტორინგის პროგრამა დაინერგა. კურსი 8 თვის მანძილზე გრძელდებოდა. პროგრამაში ჩართული იყო ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის თემაზე სპეციალიზებული 6 პროკურორი, რომელთა სწავლებასაც უძღვებოდა 2 მენტორი.

2020 წელს დამატებით განხორციელდა სასწავლო აქტივობები სექსუალური შევიწროების პრევენციის, გენდერულად მგრძობიარე დასაქმების და კიბერძალადობის თემაზე, რომლის ფარგლებშიც ჩართული იყო პროკურატურის 5 თანამშრომელი.

გარდა ამისა, გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის თემა დაიფარა დამატებით 8 სასწავლო აქტივობების ფარგლებში, რომელშიც ჩართული იყო 122 მსმენელი (პროკურორი/სისტემის გამომძიებელი/მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი).

### **საქმიანობა 2.1.11**

პოლიციელთა სპეციალიზაციის გაძლიერება ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე (მათ შორის, წელიწადში არანაკლებ 4 ტრენინგი);

**შესრულების სტატუსი:** განხორციელდა;

**პასუხისმგებელი უწყება:** საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომში - შსს) ორგანიზებით, ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივ მექანიზმებზე სამართალდამცავთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, ჩატარდა ონლაინ ტრენინგ-კურსი თემაზე „ქალთა მიმართ, ან/და ოჯახში ძალადობა და მის წინააღმდეგ მოქმედი მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით“. ტრენინგის ფარგლებში გადამზადდა პოლიციის 120 თანამშრომელი.

2020 წელს, შსს-ს და არასამთავრობო ორგანიზაცია „საფარი“-ის წარმომადგენლებმა კახეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებთან სამუშაო შეხვედრა გამართეს. შეხვედრის მონაწილეებმა განიხილეს ქალთა მიმართ (გენდერული ნიშნით განხორციელებული ძალადობის) და ოჯახში ძალადობის, სექსუალური შევიწროებისა და ადევნების საქმეების გამოძიების სპეციფიკა.

2020 წელს, შსს-ს ორგანიზებით ჩატარდა ხუთი ორდღიანი ონლაინ ტრენინგი თემაზე „ქალთა მიმართ, ან/და ოჯახში ძალადობა და მის წინააღმდეგ მოქმედი მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით“, რომლის ფარგლებშიც გადამზადდა შინაგან საქმეთა სამინისტროს 80 თანამშრომელი.

2020 წელს, შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში შსს საპატრულო პოლიციის მეტროპოლიტენის 175 თანამშრომლისთვის ჩატარდა სასწავლო კურსი და მოიცვა სამართლებრივი საკითხები შემდეგ თემებზე: ოჯახში ძალადობა, შემაკავებელი და დამცავი ორდერები და მათი გამოცემა/შენწყვეტა, სექსუალური შევიწროება.

2020 წელს, შსს-ს 20 თანამშრომლისთვის ხუთდღიანი სასწავლო პროგრამა ჩატარდა და მოიცვა როგორც სამართლებრივი, ისე ფსიქოლოგიურ-თეორიული საკითხები შემდეგ თემებზე: ოჯახში ძალადობა, ძალადობის ზეგავლენა ბავშვებზე, ოჯახში ძალადობისას გამოკითხვის ასპექტები, გენდერული თანასწორობა, ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ არსებული საკანონმდებლო რეგულაციები, შემაკავებელი და დამცავი ორდერები და მათ გამოცემა/შენწყვეტასთან დაკავშირებული საკითხები, მსხვერპლებისთვის არსებული სერვისები, საქართველოში დისკრიმინაციის საკითხებზე არსებული საკანონმდებლო აქტები, სქესობრივი და ოჯახური დანაშაულის გამოძიების თავისებურებები.

2020 წელს, შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის რეგიონული დანაყოფების 75 თანამშრომელს ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის თემაზე ტრენინგები ჩატარდა.

2020 წლის სექტემბერში, შსს-ს თანამშრომლებმა ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის გამოძიების საკითხებზე ხუთდღიანი გადამზადების კურსი გაიარეს.

2020 წელს, შსს აკადემიაში ჩატარდა ტრენინგი მართლწესრიგის ოფიცრებისათვის (20 ოფიცერი), ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობისა და სექსუალური შევიწროების შესახებ.

2020 წელს, შსს-ს თანამშრომლების მიერ ჩატარდა ონლაინ ტრენინგი პატრულ-ინსპექტორებისათვის (20 ინსპექტორი) საზოგადოებრივ ადგილას სექსუალურ შევიწროების დროს, პოლიციის თანამშრომლის მიერ რეაგირების მექანიზმისა და სახელმწიფოში არსებული საკანონმდებლო დოკუმენტების შესახებ.

2020 წელს, ძალადობის წინააღმდეგ ორგანიზებული კვირეულის „არა ძალადობას! ძალა უფლებას“ ფარგლებში, შსს ქვემო ქართლის და კახეთის პოლიციის დეპარტამენტების 40 თანამშრომელს ჩატარდა ონლაინ ტრენინგი „ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის“ თემაზე.

2020 წელს, შსს-ის თანამშრომლების მიერ ჩატარდა ონლაინ ტრენინგი შსს ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი პირებისთვის (30 მონაწილე) გენდერული თანასწორობის საკითხებზე. მონაწილეები გაეცნენ სახელმწიფოში არსებულ საკანონმდებლო დოკუმენტებსა და გენდერული უთანასწორობისას სახელმწიფო რეაგირების მექანიზმებს.

2020 წელს აშშ-ს საელჩოსთან თანამშრომლობით ჩატარდა კონფერენცია „ქალები პოლიციაში“, რომელშიც პროკურატურის თანამშრომლებთან ერთად (მენეჯერი, პროკურორი, მრჩეველი, მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი), სხვა მიზნობრივი უწყების წარმომადგენლებიც იღებდნენ მონაწილეობას. კონფერენციის მიზანი იყო სამართალდამცავი სისტემის ქალების გაძლიერება. კონფერენციაში 11 ქვეყნის 300-მდე მონაწილე იყო ჩართული.

## საქმიანობა 2.1.12

საქართველოს გენერალური პროკურატურის თანამშრომლებისთვის ოჯახური დანაშაულების შესახებ რეკომენდაციების განახლება საჭიროებისამებრ;

**შესრულების სტატუსი:** განხორციელდა;

**პასუხისმგებელი უწყება:** საქართველოს გენერალური პროკურატურა.

2020 წლის პირველი იანვრიდან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლში შევიდა საკანონმდებლო ცვლილება, რომლის თანახმად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126 პრიმა მუხლით გათვალისწინებული ოჯახში ძალადობის ან 11 პრიმა მუხლით გათვალისწინებული ოჯახური დანაშაულის სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებულის ახლო ნათესავს, რომელსაც უშუალოდ ამ დანაშაულის შედეგად მიადგა მორალური, ფიზიკური ან ქონებრივი ზიანი, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული უფლებით სარგებლობამდე, დაკითხვის ჩამტარებელმა პირმა უნდა შესთავაზოს მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორთან კონსულტაციის გავლა და შესაბამისი გადწყვეტილების მიღებამდე 3-დღიანი მოსაფიქრებელი ვადით სარგებლობა. სისხლის



სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილების პრაქტიკაში იმპლემენტაციის, პროკურორებისა და კოორდინატორების ეფექტიანი ურთიერთთანამშრომლობის უზრუნველყოფის მიზნით, 2020 წელს შემუშავდა სახელმძღვანელო მითითება „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენების შესახებ“, რომელიც კიდევ უფრო ეფექტიანს გახდის ოჯახური დანაშაულის წინააღმდეგ პროკურატურის მუშაობას, გააუმჯობესებს სისხლისსამართლებრივი დევნის საბოლოო შედეგებს (შეამცირებს გამამართლებელი განაჩენების რაოდენობას), გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების პირობებში უზრუნველყოფს ძალადობის რისკების შემცირებას, დაზარალებულთა ხელახალი ვიქტიმიზაციისგან დაცვას, უზრუნველყოფს პროკურატურის სისტემაში ერთგვაროვანი, სწორი მიდგომების დანერგვასა და განხორციელებას.

2020 წლის განმავლობაში საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი ახორციელებდა „ოჯახში ძალადობის საქმეებზე საპროცესო შეთანხმების გაფორმების შესახებ“ რეკომენდაციის შესრულების მონიტორინგს, რათა საჭიროების შემთხვევაში რეკომენდაციაში განხორციელებულიყო სათანადო ცვლილებები. 2020 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა მუშაობა „ოჯახში ძალადობის საქმეებზე საპროცესო შეთანხმების გაფორმების შესახებ“ რეკომენდაციის განახლებაზე. 2021 წელს შემუშავდა ახალი რეკომენდაცია „ოჯახში ძალადობის და ოჯახური დანაშაულის საქმეებზე საპროცესო შეთანხმების გაფორმების შესახებ“, რომელიც 2021 წლის იანვარში გაეგზავნათ პროკურორებს.”

### საქმიანობა 2.1.13

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის ფაქტების სათანადო კვალიფიკაცია, ეფექტიანი გამოძიებისა და სისხლის სამართლებრივი დევნის წარმოების უზრუნველყოფისათვის სისხლის სამართლის საქმეების მუდმივი მონიტორინგი, ხარვეზების გამოვლენა და სათანადო ღონისძიებების დაგეგმვა. საჭიროების შემთხვევაში რეკომენდაციების შემუშავება ან განახლება;

**შესრულების სტატუსი:** განხორციელდა;

**პასუხისმგებელი უწყება:** საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს გენერალური პროკურატურა.

ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ 2020 წელს დამონიტორინგდა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის სავარაუდო ფაქტებზე მიმდინარე 6500-ზე მეტი სისხლის სამართლის საქმე.



2020 წელს, მომზადდა რეკომენდაცია შემაკავებელი ორდერის გასაჩივრებისას პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების, პოლიციის თანამშრომლის მიერ სასამართლოსთვის წერილობითი მოსაზრების წარდგენისა და სასამართლო პროცესში მონაწილეობასთან დაკავშირებულ საკითხებზე. დოკუმენტში, აგრეთვე, ასახულია შემაკავებელი ორდერის გასაჩივრების როგორც პროცედურული, ასევე, სასამართლოში წარსადგენი დოკუმენტაციის შედგენის ფორმალური და შინაარსობრივი დეტალები.

2020 წლის სექტემბრიდან განხორციელდა საკანონმდებლო ცვლილებები, რაც მოქალაქის მიმართ შემაკავებელი ორდერის გამოცემის გარდა, ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელების შესაძლებლობას იძლევა. შსს-ს მიერ ცვლილებების პრაქტიკაში იმპლემენტაციის გამარტივების მიზნით, სამართალდამცავებისთვის მომზადდა ინსტრუქცია შემაკავებელი ორდერის ოქმის შევსების და ელექტრონული ზედამხედველობის დაწესების შესახებ. ასევე, დამზადდა ვიდეოჩანაწერი, სადაც დეტალურად არის საუბარი შემაკავებელი ორდერის ოქმის შევსების და ელექტრონული ზედამხედველობის დაწესების პროცედურებზე. აღნიშნული ჩანაწერით ონლაინ სწავლება გაიარა პოლიციის რამდენიმე ათასმა თანამშრომელმა.

2020 წელს, შსს-ს მიერ მომზადდა ინსტრუქცია შემაკავებელი ორდერის საინფორმაციო ბაზებში ატვირთვის წესის მოწესრიგების თაობაზე.

საქართველოს გენერალური პროკურატურის საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი და ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველო მუდმივად ახორციელებენ ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის საქმეთა მონიტორინგს და ყოველწლიურად აანალიზებენ არსებულ მდგომარეობას. მონიტორინგის საფუძველზე იგეგმება რეკომენდაციების განახლება, პროკურორთა და გამომძიებელთა გადამზადების საჭიროებების განსაზღვრა. მონიტორინგის ფარგლებში ყურადღება ექცევა გაჭიანურების გარეშე ტარდება თუ არა გამოძიება აღნიშნული კატეგორიის საქმეებზე, დროულად მიიღება თუ არა შემაჯამებელი გადაწყვეტილებები, აგრეთვე, სრულდება თუ არა სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა და 126 პრიმა მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებზე გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელების შესახებ რეკომენდაცია.

2020 წელს განხორციელდა ოჯახური დანაშაულის სისხლის სამართლის საქმეთა მონიტორინგი. მონიტორინგის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა გამოძიების დროულად და სწორი კვალიფიკაციით დაწყებას, საჭირო საგამომძიებო მოქმედებების დროულად ჩატარებას, გამოძიების ხარისხს, დაზარალებულად ცნობის შესახებ დადგენილების დროულად გამოტანას, სისტემატური ძალადობის გამოკვეთასა და დანაშაულთა ერთობლიობით კვალიფიკაციას, ძალადობის შემსწრე არასრულწლოვანთა დაზარალებულად ცნობას, მაკვალიფიცირებელი გარემოებების დადგენას, სათანადო საფუძვლის არსებობის შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი დევნის დროულად და სწორი კვალიფიკაციით დაწყებას. წინა წლების მსგავსად, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სასამართლო პრაქტიკის შესწავლას. 2020 წელს გაანალიზდა

ოჯახური დანაშაულის საქმეებზე სასამართლოს მიერ გამოტანილი მნიშვნელოვანი განაჩენები და აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ განჩინებები. გადაწყვეტილებების შესწავლის მიზანია სასამართლო პრაქტიკის გაანალიზება, პროკურორებისთვის გაცნობა, აგრეთვე, ტრენინგ მოდულის ფარგლებში გათვალისწინება და ახალი რეკომენდაციების შემუშავების საჭიროების განსაზღვრა.

2020 წლის განმავლობაში საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი ახორციელებდა „ოჯახში ძალადობის საქმეებზე საპროცესო შეთანხმების გაფორმების შესახებ“ რეკომენდაციის შესრულების მონიტორინგს, რათა საჭიროების შემთხვევაში რეკომენდაციაში განხორციელებულიყო სათანადო ცვლილებები. 2020 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა მუშაობა „ოჯახში ძალადობის საქმეებზე საპროცესო შეთანხმების გაფორმების შესახებ“ რეკომენდაციის განახლებაზე. 2021 წელს შემუშავდა ახალი რეკომენდაცია „ოჯახში ძალადობის და ოჯახური დანაშაულის საქმეებზე საპროცესო შეთანხმების გაფორმების შესახებ“, რომელიც 2021 წლის იანვარში გაეგზავნათ პროკურორებს.

2020 წელს ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს მიერ შესწავლილ და განალიზებულ იქნა გენდერული დისკრიმინაციის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე წარმოებული სისხლის სამართლის საქმეები და მომზადდა შესაბამისი ანგარიში, რომელიც საჯაროდ ხელმისაწვდომია პროკურატურის ვებგვერდზე და ასახავს 2020 წლის 9 თვის სეგრეგირებულ სტატისტიკურ მონაცემებს, ინფორმაციას დაწყებული გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის შესახებ, პროკურატურის მიღწევებს, გამოწვევებსა და გენდერული დისკრიმინაციის მოტივით ჩადენილ დანაშაულებთან ბრძოლის სამომავლო ნაბიჯებს. იხ. <http://pog.gov.ge/uploads/ff724131-genderuli-diskriminaciis-motivi-9-Tve.pdf>;

რაც შეეხება 2020 წლის ბოლო 3 თვის მონაცემებს, 2020 წლის 23 სექტემბერს, ევროპის საბჭოს მხარდაჭერით, საქართველოს პროკურატურას, საქართველოს უზენაეს სასამართლოს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს შორის დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის წარმოებისა და ერთიანი ანგარიშის გამოცემის შესახებ მემორანდუმი გაფორმდა.

თანამშრომლობის მემორანდუმის თანახმად, საქართველოს პროკურატურამ მემორანდუმის ხელმოწერი მხარეების მსგავსად, იკისრა 2020 წლის 1 ოქტომბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდის სტატისტიკური მონაცემების დამუშავებისა და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისთვის 2021 წლის 20 თებერვლამდე მიწოდების ვალდებულება, საპილოტე რეჟიმში გამოქვეყნების მიზნით. ამჟამად, მიმდინარეობს მემორანდუმით გათვალისწინებული სტატისტიკური მონაცემების დამუშავება.

### საქმიანობა 2.2.1

სექსუალური ძალადობის მსხვერპლთათვის ჯანდაცვის მომსახურებების პროგრამული უზრუნველყოფა;

**შესრულების სტატუსი:** განხორციელდა;

**პასუხისმგებელი უწყება:** საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

რეფერალური მომსახურების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, სექსუალური ძალადობის მსხვერპლთათვის გათვალისწინებულია პოსტკოიტალური კონტრაცეფციით / სგგდ ტესტირებითა და მკურნალობით უზრუნველყოფა.

### საქმიანობა 2.2.2

ქალთა მიმართ ძალადობასა და ოჯახში ძალადობაზე ჯანდაცვის სისტემის რეაგირების გაძლიერების უზრუნველსაყოფად სტანდარტული ოპერაციული პროცედურების დანერგვის პილოტური პროგრამის განხორციელება და მისი შედეგანობის ანალიზი;

**შესრულების სტატუსი:** მიმდინარე - მეტწილად შესრულდა

**პასუხისმგებელი უწყება:** სსიპ - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი.

გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) მხარდაჭერით, სახელმწიფო ფონდის მიერ, ქალთა მიმართ ძალადობაზე/ოჯახში ძალადობაზე ჯანდაცვის სისტემის რეაგირების გასაუმჯობესებლად, 2016 წლიდან 2020 წლამდე, ახორციელებს პროგრამას - „ჯანდაცვის რეაგირება (პასუხი) ოჯახში ძალადობაზე/გენდერულ ძალადობაზე“ (Healthcare Response to DV/GBV). პროგრამის ფარგლებში 2016-2018 წლებში ქალთა მიმართ ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სექსუალური ძალადობის გამოვლენის, მკურნალობის პრინციპებისა და რეფერალის საკითხებზე ჩატარდა ტრენინგები ჯანდაცვის მუშაკებისთვის (აღნიშნული პროექტის ფარგლებში 300-ზე მეტი ექიმი გადამზადდა). აღნიშნული პროექტის ფარგლებში ფონდმა, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან აქტიური თანამშრომლობით, შეიმუშავა ქალთა მიმართ ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სექსუალური ძალადობის გამოვლენის, მკურნალობის პრინციპებისა და რეფერალის საკითხებზე სახელმძღვანელო მითითებები (ჯანდაცვის მომსახურების განვითარების დარგთაშორისი რეაგირების სტანდარტული ოპერაციული პროცედურები).

ოჯახში ძალადობისა და სექსუალური ძალადობის ფაქტების აღრიცხვიანობის, გამოვლენის, შეფასებისა და შესაბამისი რეფერალის განსახორციელებლად შემუშავდა და მინისტრის შესაბამისი ბრძანებებით, 2018 წლის 9 იანვარს დამტკიცდა სამედიცინო დოკუმენტირების ჩანართი ფორმები სტაციონარულ და ამბულატორიულ ბარათებში. 2018 წლის ოქტომბრიდან 2019 წლის დეკემბრის ჩათვლით, გენდერული ნიშნით ქალთა მიმართ ძალადობის (მათ შორის, ოჯახში ძალადობის) და/ან სექსუალური ძალადობის მსხვერპლი პაციენტის ამოცნობა/შეფასებისა და შესაბამისი დოკუმენტირების ფორმის დანერგვის მიზნით, პილოტური პროექტი მიმდინარეობდა მთელი კახეთის მასშტაბით - თელავის, ახმეტის, ყვარლის, საგარეჯოს, ლაგოდეხის, სიღნაღისა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტებში სოფლის ექიმების ბაზაზე. ასევე, თელავში „ავთანდილ ყამბარაშვილის კლინიკასა“ და თბილისში კლინიკა „კურაციოში“.

პროექტის "ჯანდაცვის რეაგირება (პასუხი) ოჯახში ძალადობაზე/გენდერულ ძალადობაზე" ფარგლებში განხორციელდა პროექტის შედეგიანობის შეფასება, სადაც გაანალიზებულია კახეთის რეგიონისას და თბილისში მიმდინარე პილოტური პროგრამის შედეგები. შეფასება განხორციელდა დასახული მიზნების, შედეგების და გამოსავლის ინდიკატორების მიხედვით. კერძოდ კი, შეფასებული იქნა: თუ რამდენად გაუმჯობესდა სამედიცინო პერსონალის ცოდნა და უნარ-ჩვევები ოჯახურ და გენდერულ ძალადობასთან მიმართებით, ასევე, ჯანმრთელობის სექტორის ინსტიტუციალური განვითარება და მისი უნარი მოახდინოს ეფექტური რეაგირება ოჯახური თუ გენდერული ძალადობის შემთხვევებზე. შეფასებისას, ასევე, მოხდა შემდეგი შედეგების შესწავლა: პირველი და მეორე დონის სამედიცინო დაწესებულებათა პერსონალის ტრენინგი, კახეთის რეგიონსა და თბილისში პილოტური პროგრამის სტანდარტული ოპერაციული პროცედურების (სოპ-ის) დანერგვა და შესაბამისი დოკუმენტირების ფორმების გამოყენება, ჯანმრთელობის სისტემის მზაობა დროულად გამოავლინოს ქალთა მიმართ ოჯახური თუ გენდერული ნიშნით ქალის მიმართ ძალადობის შემთხვევები და გაატაროს პრევენციული ღონისძიებები.

პილოტურ პროექტზე დაკვირვებისა და ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა დოკუმენტირების ფორმების კორექტირების საჭიროება. შესაბამისად, 2019 წლის ბოლოს მომზადდა სათანადო ცვლილებების პროექტები საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 15 აგვისტოს № 01-41/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ამბულატორიული სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესსა“ და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 19 მარტის № 108/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „სამედიცინო დაწესებულებებში სტაციონარული სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესში“ და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის შესაბამისი ბრძანებებით დამტკიცდა 2020 წლის 27 იანვარს.

### საქმიანობა 2.2.3

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე (სავალდებულო) აკრედიტებული ელექტრონული სასწავლო მოდულის შექმნა და ინტეგრირება უწყვეტი სამედიცინო განათლების სფეროში.

**შესრულების სტატუსი:** განხორციელდა;

**პასუხისმგებელი უწყება:** საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, სსიპ - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი.

ქალთა მიმართ ძალადობაზე/ოჯახში ძალადობაზე ჯანდაცვის სისტემის რეაგირების გასაუმჯობესებლად, გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) მხარდაჭერით, სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს მიერ, 2018 წლის ბოლოს დაიწყო პროექტი, რომლის ფარგლებშიც 2019 წელს დასრულდა მუშაობა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე (სავალდებულო) აკრედიტებული ელექტრონული სასწავლო მოდულის შექმნაზე. აღნიშნული დაინერგა უწყვეტი სამედიცინო განათლების სისტემაში. მოდული აკრედიტებული და ატვირთულია სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვებგვერდზე: [http://sms.tsmu.edu/ssms/cme/test\\_kon.php?saga=3](http://sms.tsmu.edu/ssms/cme/test_kon.php?saga=3)

### საქმიანობა 2.2.4

კრიზისული ცენტრების ქსელის გაფართოება რეგიონებში და სახელმწიფო ფონდის ქვეშ არსებული თავშესაფრებისა და კრიზისული ცენტრების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება;

**შესრულების სტატუსი:** განხორციელდა;

**პასუხისმგებელი უწყება:** საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, სსიპ - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი.

2018 წლიდან, საქართველოს ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 5 სახელმწიფო თავშესაფარი და 5 კრიზისული ცენტრი <http://atipfund.gov.ge/geo/static/427/dzaladobis-mskhverplta-krizisuli-tsentrebi>

2020 წლის საანგარიშო პერიოდში, კრიზისული ცენტრის დამატება არ განხორციელებულა.



### საქმიანობა 2.2.5

მსხვერპლთა ფსიქოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური, რეაბილიტაციის სტანდარტიზების სახელმძღვანელოების შექმნა და დანერგვა;

**შესრულების სტატუსი:** განხორციელდა;

**პასუხისმგებელი უწყება:** სსიპ - ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი.

2017 წლის ივლისში სსიპ - ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის მიერ გადაიხედა, განახლდა და დაიხვეწა მსხვერპლთათვის/დაზარალებულთათვის არსებული რეაბილიტაცია/რეინტეგრაციის (შემთხვევის მართვა) გეგმები. აღნიშნულ გეგმებში დეტალურად იგეგმება თითოეული ბენეფიციარისათვის (მათ შორის ბენეფიციარზე დამოკიდებული პირების) საჭირო მომსახურებები და განისაზღვრება მისი განხორციელებისათვის საჭირო აქტივობები. 2017 წლის დეკემბერში სახელმწიფო ფონდმა უზრუნველყო სახელმწიფო ფონდის ბენეფიციარებთან სოციალური მუშაობის, ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის/ დახმარების და ეკონომიკური რეაბილიტაციის შესახებ სახელმძღვანელო მითითებების შემუშავება, რაც, ასევე, მოიცავდა თავშესაფრებსა და კრიზისულ ცენტრებში ბენეფიციარის პირადი საქმეებისთვის განკუთვნილი ფორმების გაუმჯობესებას/დახვეწას.

შესაბამისად, სახელმძღვანელო მითითებების ინტეგრირება შინაგანაწესებსა და რეაბილიტაცია-რეინტეგრაციის (შემთხვევის მართვის) გეგმებში და მათი დანერგვა პრაქტიკაში(საქმიანობაში) ხორციელდება 2018 წლიდან და არის დანერგვის ეტაპზე. 2019 წელს ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის და სოციალური მუშაობის სახელმძღვანელოებში ინტეგრირდა ბავშვებთან და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მუშაობის სპეციფიკური საკითხები.

### საქმიანობა 2.2.6

იურიდიული დახმარების სერვისის მიწოდება ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობის მსხვერპლის/სავარაუდო მსხვერპლისთვის, კანონმდებლობით დადგენილი წესით;

**შესრულების სტატუსი:** განხორციელდა;

**პასუხისმგებელი უწყება:** სსიპ-იურიდიული დახმარების სამსახური;

**პარტნიორი უწყება:**

სსიპ-იურიდიული დახმარების სამსახურს 2020 წელს წარმოებაში ჰქონდა ოჯახში/ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლთა/სავარაუდო მსხვერპლთა 615 საქმე, მათ შორის: 578 სისხლის სამართლის საქმე, 27 ადმინისტრაციული სამართლის საქმე(სავარაუდო მსხვერპლი/მსხვერპლი), 10 სამოქალაქო სამართლის საქმე(მსხვერპლი), 221 იურიდიული კონსულტაცია, მათ შორის, 14 სამართლებრივი დოკუმენტი.

### **საქმიანობა 2.2.7**

დამცავი და შემაკავებელი ორდერების აღსრულების, მონიტორინგის სისტემის შემუშავება და დანერგვა;

**შესრულების სტატუსი:** განხორციელდა;

**პასუხისმგებელი უწყება:** საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

2020 წლის 1 სექტემბერს საქართველოს კანონმდებლობაში შესული ცვლილების თანახმად, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებს მიენიჭათ უფლებამოსილება, შესაბამისი საფუძვლის არსებობისას, შემაკავებელი ორდერის მოთხოვნების აღსრულების და მსხვერპლის უსაფრთხოების გაძლიერებულად დაცვის მიზნით, აწარმოონ მოძალადეზე ელექტრონული მონიტორინგი. ელექტრონული მონიტორინგის წარმოება ხორციელდება სპეციალური მონყობილობის (ე.წ. ელ. სამაჯურის) სხეულებზე დამაგრების გზით. გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული მეთოდი წარმოადგენს შემაკავებელი ორდერის მონიტორინგის დამატებით ბერკეტს, შსს ადამიანის უფლებათა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის და იურიდიული დეპარტამენტის მიერ, შემუშავდა და მინისტრის ბრძანებით დამტკიცდა ცვლილებები შემაკავებელი ორდერის ოქმში და მონიტორინგის განხორციელების წესში.

აღნიშნულ ცვლილებაზე მომზადდა რეკომენდაციები პოლიციელებისთვის და ჩატარდა პრაქტიკული ტრენინგები.

### **საქმიანობა 2.2.8**

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის შესახებ სსიპ - 112-ში შემოსული შეტყობინებების ანალიზი;

**შესრულების სტატუსი:** განხორციელდა;

**პასუხისმგებელი უწყება:** საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.



შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“, ყოველთვიურად, აკეთებს 112-ში შემოსული შეტყობინებების ანალიზს.

### **საქმიანობა 2.2.9**

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის რისკების შეფასების ინსტრუმენტის შექმნა და დანერგვა;

**შესრულების სტატუსი:** განხორციელდა;

**პასუხისმგებელი უწყება:** საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის რისკების შეფასების ინსტრუმენტი ინტეგრირებულია შემაკავებელი ორდერის ოქმში, 2020 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილების შესაბამისად მოდიფიცირდა და დაიხვეწა აღნიშნული ოქმი. (იხილეთ საქმიანობა 2.2.7)

## **მიზანი III. საზოგადოებაში ნულოვანი ტოლერანტობის დამკვიდრება ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მიმართ;**

**საზოგადოების ინფორმირებულობის მიზნით განხორციელებული საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებები დეტალურად განისაზღვრება უწყებათაშორისი კომისიის საკომუნიკაციო სტრატეგიითა და სამოქმედო გეგმით;**

### **ამოცანა 3.1.**

სახელმწიფო სტრუქტურებში დანერგულია და ხორციელდება ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული სოციალური ნორმების, დამოკიდებულებებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული პრევენციის ხელშემწყობი მექანიზმები

**ინდიკატორი 3.1.ა:** სახელმწიფო სტრუქტურების რაოდენობა, რომელმაც შეიმუშავა პრევენციის მექანიზმები

**საბაზისო:** 0 (2017)

**სამიზნე:** 3

**წყარო:** გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია)

**ინდიკატორი 3.1.ბ:** იმ ბენეფიციართა რაოდენობა, რომელთაც გაიარეს ძალადობრივი ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული პროგრამები; მოძალადე მსჯავრდებულთა რაოდენობა

**საბაზისო:** 2017 წლის განმავლობაში ქცევის კორექციაზე ორიენტირებულ პროგრამებში ჩართული იყო შემდეგი რაოდენობის ბენეფიციარი: “სასარგებლო უნარების განვითარების პროგრამა” - 66 ბენეფიციარი; “პოზიტიური ქცევის როლი ოჯახურ ურთიერთობებში” - 33 ბენეფიციარი; 2017 წელს მოძალადე პირობით მსჯავრდებულთა რაოდენობა სულ იყო 652 პირი. აქედან, ძალადობრივი ქცევის მართვის სარეაბილიტაციო პროგრამაში ჩაერთო და სრულიად გაიარა 67-მა პირმა, ხოლო ძალადობის რაობა და ძალადობისგან დაცვის საკანონმდებლო მიმოხილვა (ცნობიერების ამაღლებაზე ორიენტირებული ტრენინგი) გაიარა 21-მა პრობაციონერმა.

**სამიზნე:** ზრდა 10%

**წყარო:** საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

**დამცავი ორდერის მქონე ბენეფიციარების რაოდენობა**

**საბაზისო:** 0 (2017)

**სამიზნე:** ზრდა 10%

**წყარო:** გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია

**ინდიკატორი 3.1.გ:** განხორციელებულია შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები და დანერგილია GPS ელექტრონული მონიტორინგის სისტემა მოძალადებისათვის (სამაჯურები)

**საბაზისო:** არ არსებობს (2017)

**სამიზნე:** საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელებულია და დანერგილია GPS ელექტრონული მონიტორინგის სისტემა მოძალადებისათვის (სამაჯურები) (წყარო: სსიპ - საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო / საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო).

### საქმიანობა 3.1.2

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციის განმახორციელებელი და მომსახურების მიმწოდებელი უწყებების მიერ, წინამდებარე სამოქმედო გეგმიდან გამომდინარე, ყოველწლიური შიდა სამოქმედო გეგმის შემუშავება/დამტკიცება ან უკვე არსებულ შიდა ინსტიტუციურ სამოქმედო გეგმაში ინტეგრირება;

**შესრულების სტატუსი:** მიმდინარე;

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო - მიმდინარე - მეტწილად შესრულდა; საქართველოს იუსტიციის სამინისტრო - განხორციელდა;

**პასუხისმგებელი უწყება:** საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს გენერალური პროკურატურა, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო (სსიპ - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი), საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.

შინაგან საქმეთა სამინისტროში ფუნქციონირებს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტი, რომელიც ოჯახში ძალადობისა და ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტებზე დროულ რეაგირებასა და გამოძიების ეფექტიანობას უზრუნველყოფს. ამასთანავე, დეპარტამენტი უზრუნველყოფს აღნიშნულ დანაშაულებთან დაკავშირებით სხვადასხვა პრევენციული ღონისძიების დაგეგმვასა და განხორციელებას.

საქართველოს პროკურატურის 2017-2021 წლების სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში, რომელიც 2017 წელს დამტკიცდა, ოჯახური დანაშაულის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი მექანიზმის ეფექტიანად გამოყენებისა და აღნიშნული დანაშაულის პრევენციის მიზნით შემდეგი სტრატეგიული მიმართულებები განისაზღვრა: საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კანონმდებლობის არსებობა; ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის ფაქტების გამოვლენის მექანიზმების გაუმჯობესება; ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება; სისხლის სამართლის საქმეებზე ეფექტიანი გამოძიების წარმოება; ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის ფაქტების შემცირება; პროკურატურის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება; ასევე, სხვა სტრუქტურებთან ურთიერთობის გაღრმავება და პრევენციულ ღონისძიებებში საზოგადოების ჩართვა. პროკურატურა აქტიურად მუშაობს სტრატეგიით დასახული მიზნების მისაღწევად. 2020 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა მუშაობა საქართველოს გენერალური პროკურატურის 2021-2025 წლების სტრატეგიაზე. ახალი სტრატეგიის ფარგლებში ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა კვლავ ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად განისაზღვრება.

### **საქმიანობა 3.1.3**

მოძალადე მსჯავრდებულებისთვის ქცევის კორექციის პროგრამების შემუშავება და განხორციელება;

**შესრულების სტატუსი:** მიმდინარე - მეტწილად შესრულდა;

**პასუხისმგებელი უწყება:** საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

პენიტენციური და პრობაციის სისტემებმა, 2018 წელს გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით განაახლეს „ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სწავლების კურსი“. პროგრამა 2019 წელს პილოტირდა პრობაციის სისტემასა და 2 პენიტენციურ დაწესებულებაში (№16 და №17 დაწესებულებებში). პროცესის შედეგად პროგრამაში შევიდა ცვლილებები და მოდულმა მიიღო საბოლოო სახე.

პრობაციის სისტემაში აღნიშნული პროგრამა ტარდება ყველა რეგიონში, სადაც ფსიქოლოგის მომსახურებაა ხელმისაწვდომი. „ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სწავლების კურსში“ პრობაციის სისტემის ფარგლებში 2020 წელს ჩართული იყო 77 პირი.

2020 წელს მსოფლიო პანდემიიდან გამომდინარე განსაკუთრებული პირობების შემოღებასთან დაკავშირებით, COVID-19-ის პენიტენციურ სისტემაში გავრცელების პრევენციის მიზნით, სოციალური მუშაკები და ფსიქოლოგები პენიტენციურ დაწესებულებებში გადაყვანილი იქნა გარე პერიმეტრზე. ბენეფიციარებთან მუშაობა მიმდინარეობდა

მხოლოდ ინდივიდუალურად, სატელეფონო და მინის ბარიერის საშუალებით. რთული ეპიდემიოლოგიური სიტუაციის და ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ჯგუფური მუშაობა მსჯავრდებულებთან შეჩერებულია და აღდგება სიტუაციის სტაბილიზაციისთანავე.

### **საქმიანობა 3.1.5**

ელექტრონული მონიტორინგის სამაჭურების დანერგვა მოძალადეებისთვის

**შესრულების სტატუსი:** განხორციელდა;

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო: განხორციელდა დაგვიანებით

**პასუხისმგებელი უწყება:** გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია

**პარტნიორი უწყება:** საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო.

2020 წლის 1-ლი სექტემბრიდან, საქართველოს კანონმდებლობით ძალაში შევიდა მოძალადის ელექტრონული ზედამხედველობის პროგრამა, რომელსაც ტექნიკურად უზრუნველყოფს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“. აღნიშნულთან დაკავშირებით, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ში შეიქმნა ელექტრონული მონიტორინგის ცენტრი, რომლის კომპეტენციის ფარგლებშიც დაიწყო „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ელექტრონული ზედამხედველობის განხორციელება.

**საზოგადოების ინფორმირებულობის მიზნით განხორციელებული საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებები დეტალურად განისაზღვრება უწყებათაშორისი კომისიის საკომუნიკაციო სტრატეგიითა და სამოქმედო გეგმით;**

**ამოცანა 3.2.**

საზოგადოების ცნობიერება ამალღებულია ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებსა და სახელმწიფო სერვისების შესახებ;

**ინდიკატორი 3.2.ა:** მოსახლეობის წილი (ასაკისა და სქესის მიხედვით), რომელსაც მიაჩნია, რომ ქალი უნდა ემორჩილებოდეს პარტნიორს, მაშინაც კი როდესაც არ ეთანხმება მას;

**საბაზისო:** განისაზღვროს 2018 წელს;

**სამიზნე:** შემცირება 10%-ით;

**წყარო:** ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა / საქსტატი, გაეროს ქალთა ორგანიზაცია);

**ინდიკატორი 3.2.ბ:** მოსახლეობის წილი (ასაკისა და სქესის მიხედვით), რომლისთვისაც ცნობილია კანონი „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“;

**საბაზისო:** განისაზღვროს 2018 წელს;

**სამიზნე:** ზრდა 10%

**წყარო:** ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა / საქსტატი, გაეროს ქალთა ორგანიზაცია).

**ინდიკატორი 3.2.გ:** მოსახლეობის წილი (ასაკისა და სქესის მიხედვით), რომლისთვისაც ცნობილია ინფორმაცია სახელმწიფო სერვისების შესახებ შესახებ;

**საბაზისო:** განისაზღვროს 2018 წელს;

**სამიზნე:** შემცირება 10%-ით;

**წყარო:** ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა / საქსტატი, გაეროს ქალთა ორგანიზაცია);



### საქმიანობა 3.2.1

ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიულ და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების ან/და ტრენინგების განხორციელება;

**შესრულების სტატუსი:** საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო - განხორციელდა; საქართველოს თავდაცვის სამინისტრო - განხორციელდა - მეტწილად შესრულდა; შინაგან საქმეთა სამინისტრო - განხორციელდა;

**ბასუხისმგებელი უწყება:** საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, სსიპ - იუსტიციის უმაღლესი სკოლა.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ, არაფორმალური განათლების მიმართულებით, 2020 წლის თებერვალში ჩატარდა მოსწავლეთა ესსეების კონკურსი თანასწორობის საკითხებზე. აღნიშნული კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილ საკონკურსო ნამუშევრებში მოზარდებმა გამოხატეს საკუთარი ხედვა და დამოკიდებულება ისეთი საკითხების შესახებ, როგორცაა: ადამიანის უფლებები, ძალადობის, ბულინგის, დისკრიმინაციის, მათ შორის ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა, ადრეული ქორწინების რისკები, მულტიკულტურალიზმი, და სხვა. კონკურსებში მონაწილეობას იღებდნენ VIII-XII კლასის მოსწავლეები. საუკეთესო ნამუშევრების ავტორები დაჯილდოვდნენ დიპლომებითა და ფასიანი საჩუქრებით.

გარდა ამისა, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ, 2020 წლის 16 ნოემბრიდან 10 დეკემბრის პერიოდში, ორგანიზება გაუწია სკოლებში ძალადობის საწინააღმდეგო კვირეულის გამართვას. აღნიშნული კვირეული ჩატარდა ონლაინ სივრცეში. კამპანიის მიზანი იყო ძალადობის (ბულინგი, ოჯახური ძალადობა, ადრეული ქორწინება და სხვა) პრევენცია და სკოლებში უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემოს შექმნის ხელშეწყობა. აღნიშნული კვირეულის ფარგლებში საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ჩატარდა სხვადასხვა აქტივობა: კვირეულის ფარგლებში სამოქალაქო განათლების მასწავლებლებმა მოსწავლეებს დისტანციურ რეჟიმში ჩაუტარეს გაკვეთილები ძალადობის თემაზე; კამპანიის ფარგლებში, ასევე, სკოლის მოსწავლეებმა ნახეს და განიხილეს თემატური ფილმები და ანიმაციები, წაიკითხეს და განიხილეს თემატური წიგნები/ზღაპრები; გაიმართა ონლაინ დისკუსიები დისკრიმინაციაზე, ძალადობაზე და მათი აღმოფხვრის გზებზე, მომზადდა პრეზენტაციები, შეიქმნა კომიქსები, ნახატები, სლოგანები, ვიდეომიმართვები, ბლოგები და სხვა. კამპანიის ფარგლებში შექმნილი აქტივობების თაობაზე ინფორმაცია სკოლებმა განათავსეს თავიანთ ინტერნეტ გვერდზე.

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის მიმართულებით პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი სახელმწიფო დაწესებულებების მიერ ხორციელდება ღონისძიებები როგორც საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში, ასევე, სემინარებისა და ტრენინგების სახით. საკვალიფიკაციო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ისწავლება ზოგადი ე.წ. სავალდებულო მოდული “სამოქალაქო განათლება“, რომლის ერთ-ერთი სწავლის შედეგი მიზნად ისახავს პროფესიული სტუდენტებისთვის ადამიანის უფლებებთან და თანასწორობასთან დაკავშირებით ინფორმაციის მიწოდებას და ცნობიერების ამაღლებას. აღსანიშნავია, რომ მიმდინარეობს აღნიშნული მოდულის განახლება. სამოქალაქო განათლების მოდულის ახალ რედაქციაში გენდერთან დაკავშირებული საკითხები წარმოდგენილი იქნება კიდევ უფრო სიღრმისეულად.

2018 წლიდან 2020 წლის ჩათვლით პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებების ორგანიზებითა და ჩართულობით პროფესიული სტუდენტებისთვის, საგანმანათლებლო დაწესებულებების ადმინისტრაციის თანამშრომლებისთვის და სკოლის მოსწავლეებისთვის განხორციელდა რიგი ღონისძიებები საკითხებზე: გენდერული თანასწორობა, ქალთა მიმართ ძალადობა, ოჯახში ძალადობა, პროფესიული განვითარებისას, დასაქმებულთა გენდერული თანასწორობის პრობლემები, სოფლად მცხოვრები ქალები, გენდერული სტერეოტიპების დაძლევა, ბულინგი და სხვა. აღნიშნულ საკითხებზე სემინარი/ტრენინგები საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში ჩატარდა. პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი 19 საგანმანათლებლო დაწესებულების ჩართულობით სულ ჩატარდა 62 ღონისძიება და 2500-მდე მსმენელმა მიიღო ინფორმაცია აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით (ტრენინგების შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ დანართ დოკუმენტში „ტრენინგები“).

უმადლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს თავიანთი ავტონომიურობის ფარგლებში განხორციელებული აქვთ მთელი რიგი აქტივობები, კერძოდ, ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის საკითხები ასახულია საქართველოს სხვადასხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების, როგორც კერძო, ასევე, საჯარო, საგანმანათლებლო პროგრამებში, მოდულებსა და სასწავლო კურსებში, (მაგ. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამის - „ჯანმრთელობის ხელშეწყობა, ჯანმრთელობითი განათლება“, სასწავლო გეგმაში არის მოდული „ადამიანის უფლებები“. ამ მოდულის ფარგლებში ისწავლება საკითხი ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის პრევენციის შესახებ. ეს მოდული, ასევე, ისწავლება სამაგისტრო პროგრამაში - „რეაბილიტაციაში მრჩეველი“. გარდა ამისა, უნივერსიტეტების მიერ გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის პრევენციის მიმართულებით ჩატარებულია ტრენინგები და სხვა აქტივობები, მაგალითად, საინფორმაციო შეხვედრები, გამოფენები ადგილობრივი ექსპერტებისა და საერთაშორისო დონორების მონაწილეობით.

განხორციელდა ოჯახში ძალადობის საკითხების ინტეგრირება სამშვიდობო ოპერაციების გადასროლის წინა მომზადების, აგრეთვე, გადასროლის შემდეგ რეაბილიტაციის პროგრამებში. ასევე, სახალხო დამცველის ადამიანის უფლებათა აკადემიასთან

თანამშრომლობით, თავდაცვის სამინისტროს სხვადასხვა სტრუქტურული ქვედანაყოფის თანამშრომელთათვის პერიოდულად ხორციელდება ტრენინგი თემაზე: „ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის ფსიქოლოგიური ასპექტები“.

2020 წლის ნოემბერში, შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო აკადემიკოს ლევან ალექსიძის სახელობის იმიტირებული სასამართლო პროცესის ეროვნული კონკურსის მონაწილეთა შეფასების დასკვნით ღონისძიებაში. პროექტის მიზანს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე სტუდენტების და სკოლის მოსწავლეების ცნობიერების ამაღლება წარმოადგენდა.

2020 წლის ნოემბერში, ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლასთან თანამშრომლობით, გენდერული ძალადობის წინააღმდეგ 16-დღიანი კამპანიის ფარგლებში, გაიმართა დისტანციური პანელური დისკუსია თემაზე: „ქალებისა და გოგონების მიმართ ძალადობა COVID-19-ის კონტექსტში“.

2020 წლის ნოემბერში, ძალადობის წინააღმდეგ ორგანიზებული კვირეულის “არა ძალადობას! ძალა უფლებას” ფარგლებში, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მიერ, კერძო სკოლა “ლომისი 1”-ის მოსწავლეებთან (50-მდე მონაწილე), ონლაინ სივრცეში განხორციელდა ვებინარი “ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის” თემაზე.

2020 წლის დეკემბერში, ძალადობის წინააღმდეგ ორგანიზებული კვირეულის “არა ძალადობას! ძალა უფლებას” ფარგლებში, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მიერ, სსიპ ქალაქ თბილისის N71-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებთან, პედაგოგებსა და მშობლებთან (65 მონაწილე), ონლაინ სივრცეში განხორციელდა ვებინარი “ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის” თემაზე.

### საქმიანობა 3.2.2

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებსა და არსებულ სახელმწიფო მომსახურებებზე საგანმანათლებლო-საინფორმაციო, სპორტული ან/და შემოქმედებითი ღონისძიებების განხორციელება თბილისსა და რეგიონებში, განსაკუთრებით, უმცირესობის წარმომადგენლებთან;

**შესრულების სტატუსი:** საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო - განხორციელდა. საქართველოს გენერალური პროკურატურა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო - განხორციელდა;

**პასუხისმგებელი უწყება:** საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს გენერალური პროკურატურა, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, სსიპ -საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი, სსიპ - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური, გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია.

2020 წელს, საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს ორგანიზებით, ევროპის საბჭოს კამპანიის „მე ვირჩევ თანასწორობას“ ფარგლებში, პროკურორებმა საქართველოს გენერალურ პროკურატურაში სტუდენტებისთვის საჯარო ონლაინ ლექცია ჩაატარეს. ლექციაზე განიხილეს დისკრიმინაციის და შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულის წინააღმდეგ პროკურატურის მიერ განხორციელებული ღონისძიებები, არსებული მიღწევები და გამოწვევები.

2020 წელს, ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ 16-დღიანი სამთავრობო კამპანიის ფარგლებში, საქართველოს გენერალურ პროკურატურაში ოჯახში ძალადობის საქმეებზე სტუდენტებისთვის საჯარო ონლაინ-ლექცია გაიმართა, რომელსაც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და კავკასიის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები ესწრებოდნენ.

სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებსა და არსებულ სახელმწიფო მომსახურებებზე საგანმანათლებლო-საინფორმაციო, სპორტული ან/და შემოქმედებითი ღონისძიებების განხორციელება თბილისსა და რეგიონებში, განსაკუთრებით, უმცირესობის წარმომადგენლებთან ვერ განხორციელდა პანდემიური მდგომარეობის გამო;

2019 წლის იანვრიდან, იუსტიციის სასწავლო ცენტრი, სპეციალური პენიტენციური სამსახურის ესკორტირებისა და სპეციალურ ღონისძიებათა ესკორტის ოფიცრებისთვის

ორგანიზებას უწევს „ესკორტის ოფიცრების საორიენტაციო კურსს“. კურსის ფარგლებში, ინტეგრირებულია 3 საათიანი ტრენინგი „ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ სამართლებრივი საშუალებები“. ტრენინგი მაქსიმალურად ითვალისწინებს მიზნობრივი ჯგუფის სპეციფიკას და საქმიანობის თავისებურებებს, ემსახურება ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მიმართ მოსამსახურეთა მგრძობელობის ამაღლებას და ინფორმირებას.

„ესკორტირების ოფიცრის საორიენტაციო კურსის“ ფარგლებში, 2020 წლის 21-22 სექტემბერს ჯამში 21 ესკორტირების ოფიცრს (2 ჯგუფი: 11 და 10 მონაწილე) ჩაუტარდა ტრენინგი „ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის აღკვეთის სამართლებრივი საშუალებები“.

2020 წლის აგვისტოში, საზოგადოებაში სამართლებრივი ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობის მიზნით, სხვადასხვა აქტუალურ თემაზე ჩატარდა უფასო ტრენინგები, მათ შორის იყო „ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ სამართლებრივი საშუალებები“ (3 ჯგუფი/16 მონაწილე); „ქალთა უფლებები“ (1 ჯგუფი/6 მონაწილე).

იუსტიციის სასწავლო ცენტრის კლინიკის ტრენინგების მონაწილეობით გენდერული ძალადობის წინააღმდეგ 16 დღიანი სამთავრობო კამპანიის ფარგლებში უფასო ტრენინგები 2020 წელსაც განხორციელდა. 2020 წელს გენდერული ძალადობის წინააღმდეგ 16 დღიანი კამპანიის მთავარ თემად განსაზღვრული იყო ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ სამართლებრივი საშუალებები, რაც მსოფლიო პანდემიის პირობებში გამოკვეთილმა საჭიროებებმა განაპირობა. სპეციალური მოდულის გამოყენებით ტრენინგი თემაზე „ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა“ კლინიკის XI ნაკადის ტრენინგების ჩართულობით ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით ჩატარდა. უფასო ტრენინგებს ჯამში 37 მონაწილე დაესწრო.

ამავე კამპანიის ფარგლებში სსიპ „იუსტიციის სასწავლო ცენტრის“ ორგანიზებით ჩატარდა, ასევე, ესეების კონკურსი, რომლის ფარგლებშიც საქართველოში ავტორიზებული 21 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების 79 სტუდენტი დარეგისტრირდა. 2020 წლის 12 დეკემბერს ესეების კონკურსის ფარგლებში განხორციელდა ტრენინგი თემაზე „ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობა“, რომელსაც დარეგისტრირებული 52 მონაწილე დაესწრო.

2020 წლის იმიტირებულ სასამართლო პროცესში, რომელიც ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე განხორციელდა, საქართველოში აკრედიტებული 12 სხვადასხვა უნივერსიტეტის 34 გუნდი დარეგისტრირდა. პროექტის ფინალურ (ზეპირ) ეტაპზე 16 საუკეთესო გუნდი (55 მონაწილე) მონაწილეობდა. პროექტი განახორციელა საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ, საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრმა და აკადემიკოს ლევან ალექსიძის სახელობის ფონდმა, აღმოსავლეთ-დასავლეთ მართვის ინსტიტუტის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) პროგრამის მხარდაჭერით, ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტთან (GAU) და თსუ გენდერისა და სამართლის კვლევით და სასწავლო მიმართულებასთან თანამშრომლობით.



გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ 2020 წლის 25 ნოემბრიდან 10 დეკემბერამდე გაიმართა კამპანია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულმა -- სსიპ სახელოვნებო ორგანიზაციებმა. მოეწყო კინოჩვენებები, ონლაინ ტრანსლირებით გადაიყვანა სპექტაკლები და კონცერტები, რომლის სლოგანიც იყო "არაძალადობას", "არაქალთა მიმართ ძალადობას". ნაჩვენები იყო 4 სპექტაკლი, სამი ფილმი, პროექტის „ცოცხალი წიგნები“ ფარგლებში ქალი პოეტებისა და მწერლების ვიდეოპორტრეტების ჩვენება, ფოლკლორის ცენტრმა გამართა კონცერტები კამპანიის მხარდასაჭერად. ასევე, კულტურული მემკვიდრეობის მიმართულების ორგანიზაციები, მუზეუმები ჩაერთვნენ კამპანიაში კულტურაში ქალთა როლისა და სახის შესახებ ლექციებით, ასევე, სოციალური კუთხით ქალთა თემატიკის განხილვა გაიმართა სალექციო ფორმატში. სულ 19 სსიპ სახელოვნებო ორგანიზაციამ მიიღო მონაწილეობა ზემოაღნიშნულ კამპანიაში 30 ღონისძიებით.

კამპანიაში, ასევე, ჩაერთნენ ხუთი სპორტის სახეობის: ფეხბურთის, კალათბურთის, ამერიკული ფეხბურთის, ხელბურთისა და ჩერლიდინგის სპორტსმენები, მსაჯები და ადმინისტრაციული პერსონალი, ჯამში 100-ზე მეტი მონაწილე. მასალა გაშუქდა მედიის, ვებგვერდებისა და სოციალური მედიის მეშვეობით, ჰეშთეგით #სპორტიძალადობისწინააღმდეგ.

ოჯახში ძალადობისას პოლიციისათვის შეტყობინების მექანიზმებსა და ფორმებზე მომზადდა ინფორმაცია ქართულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე, რომელიც საქართველოს მოსახლეობას, 2020 წლის 14 და 15 აპრილს, მოკლე ტექსტური შეტყობინებების სახით გაეგზავნა. აღნიშნული მიზნად ისახავდა საზოგადოების ინფორმირებას პოლიციისადმი შეტყობინების ალტერნატიულ გზებთან დაკავშირებით. მოკლე ტექსტურ შეტყობინებაში ინტეგრირებული იყო ბმული, რომლის საშუალებითაც, მომხმარებელს საშუალება ჰქონდა გადმოეწერა 112-ის აპლიკაცია და, საჭიროების შემთხვევაში, ოპერატორთან არავებრბალური კომუნიკაციის დამყარების მიზნით, ესარგებლა შეტყობინების გაგზავნით ჩუმი განგაშის ღილაკით.

2020 წლის აპრილში, დამზადდა ვიდეორგოლი, რომლის უმთავრეს გზავნილს წარმოადგენდა პანდემიის პერიოდში, მთავრობის მხრიდან ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ სახელმწიფოს მკაცრი პოლიტიკის შენარჩუნებასა და უწყებებს შორის კოორდინირებულ მუშაობაზე ხაზგასმას. ვიდეოში საქართველოს ხელისუფლების მაღალი რგოლის წარმომადგენლებმა მოახდინეს მოსახლეობის ინფორმირება სახელმწიფო სერვისების და პოლიციისთვის მიმართვის ალტერნატიული მექანიზმების შესახებ.

2020 წელს, დამზადდა შემეცნებითი ხასიათის გრაფიკული ვიდეო, რომელიც ასახავდა ინფორმაციას ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ქვეყანაში მოქმედი სამართლებრივი ინსტრუმენტების და არსებული სერვისების შესახებ. ვიდეო რგოლი განთავსდა საქართველოს საზოგადოებრივ და კომერციულ არხებზე.



2020 წელს, ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლასთან თანამშრომლობით, გენდერული ძალადობის წინააღმდეგ 16-დღიანი კამპანიის ფარგლებში, გაიმართა დისტანციური პანელური დისკუსია თემაზე: „ქალეობისა და გოგოების მიმართ ძალადობა COVID-19-ის კონტექსტში“. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა და ისაუბრა სამინისტროს მიერ გენდერული ნიშნით ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმებზე, მიღწეულ პროგრესსა და არსებულ გამოწვევებზე.

2020 წელს, შიდა ქართლის ექიმებისთვის ჩატარდა ტრენინგი თემაზე "როგორ ამოვიცნოთ ძალადობა. სახელმწიფოში არსებული სამართლებრივი მექანიზმები". კონფერენციას ესწრებოდა 22 მონაწილე და მიმართული იყო ძალადობის საკითხებზე შესაბამისი უწყებებისათვის მიმართვის თემაზე ექიმებისათვის ცნობიერების ამაღლებისაკენ. ტრენინგის თანატრენერი იყო შსს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის წარმომადგენელი.

2020 წელს, შსს-ს თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს ათამდე სატელევიზიო/რადიო გადაცემაში, თემებზე: ბავშვობის ასაკში ქორწინება, COVID-19 და ძალადობა, ოჯახში ძალადობა და პანდემია. გადაცემაში მონაწილეობა საინფორმაციო ხასიათს ატარებდა და მიზნად ისახავდა მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას.

პანდემიისას ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის გაზრდილი რისკების შესამცირებლად, გენდერული თანასწორობის უწყებათაშორისმა კომისიამ დაამტკიცა COVID-19-ის დროს ოჯახში ძალადობის საკომუნიკაციო სტრატეგია და აწარმოა განგრძობადი ცნობიერების ამაღლების კამპანიები მთელი ქვეყნის მასშტაბით.

პანდემიისას, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის გაზრდილი რისკის საპასუხოდ, ადამიანის უფლებათა საბჭოს გენდერული თანასწორობის კომისიის წევრი საჯარო უწყებები, სამოქალაქო საზოგადოებასთან და საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობით, ერთი მხრივ, აწვდიდნენ ინფორმაციას მოსახლეობას ძალადობის შეტყობინების ალტერნატიული გზების შესახებ, ხოლო, მეორე მხრივ, ახდენდნენ მყისიერ რეაგირებას ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის ფაქტებზე, უზრუნველყოფდნენ მსხვერპლთა დაცვის სერვისების უწყვეტ რეჟიმში მიწოდებას და აგრძელებდნენ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას ძალადობის მიუღებლობასთან დაკავშირებით.

ადამიანის უფლებათა საბჭოს გენდერული თანასწორობის კომისიამ შეიმუშავა და დაამტკიცა COVID-19-ის დროს ოჯახში ძალადობის საკომუნიკაციო სტრატეგია და აწარმოა განგრძობადი ცნობიერების ამაღლების კამპანიები მთელი ქვეყნის მასშტაბით.

ინფორმაცია გავრცელდა ქვეყანაში მოქმედ სააფთიაქო და („PSP“, „GPC“) და სასურსათო მაღაზიების ქსელებში („Carrfour“, „ორი ნაბიჯი“). ინფორმაცია ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობისგან დაცვის არსებული სახელმწიფო სერვისების შესახებ, ასევე, განთავსდა საკარანტინო სასტუმროებში ქვეყანაში დაბრუნებული მოქალაქეებისთვის.

ამავე თემას მიეძღვნა 2020 წლის 16 დღიანი კამპანია ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ. კამპანია, გზავნილით - „იმოქმედე ძალადობის წინააღმდეგ“, თითოეული მოქალაქის მხრიდან ძალადობის აღსაკვეთად ქმედითი ნაბიჯების წახალისებას ისახავდა მიზნად. ადგილობრივ და საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად, ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე სამთავრობო უწყებებმა 100-ზე მეტი თემატური ღონისძიება ჩაატარეს. წელს კამპანიას კერძო სექტორიც (“Bolt”, “Spar”, “Body Shop”) შეუერთდა.

16-დღიანი კამპანია საქართველოში გაეროს მუდმივი წარმომადგენლის ოფისის, გაეროს ქალთა ორგანიზაციის, გაეროს განვითარების პროგრამის, გაეროს მოსახლეობის ფონდის მხარდაჭერით ჩატარდა. მის ფარგლებში მომზადდა სხვადასხვა სახის საინფორმაციო მასალა, მათ შორის, ვიდეო-რგოლები სახელმწიფო სერვისების შესახებ, პოსტერები, ბროშურები და ა.შ.

### საქმიანობა 3.2.2.1

ეთნიკურ უმცირესობებთან წელიწადში არანაკლებ 4 შეხვედრა;

**შესრულების სტატუსი:** შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი - პრობლემურია; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო: მიმდინარე - მეტწილად შესრულდა; სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური - არ დაწყებულა.

**პასუხისმგებელი უწყება:** სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი.

საანგარიშო პერიოდში, კორონავირუსის შედეგად შექმნილი ვითარებიდან და დაწესებული შეზღუდვებიდან გამომდინარე, სამოქმედო გეგმით გაწერილი გასვლითი შეხვედრების ორგანიზება, სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა. შესაძლებლობისთანავე, სახელმწიფო მინისტრის აპარატი უზრუნველყოფს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის შეხვედრების ორგანიზებას.

2020 წლის 31 ივლისს, შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო შეხვედრაში, რომელიც ეხებოდა ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციის შემთხვევებს პანდემიის დროს. შეხვედრის ფარგლებში, განხილულ იქნა ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციის შემთხვევები და მასზე სამინისტროს რეაგირება.

2020 წლის 25 ნოემბერს, შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა პროექტის „ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერის გაძლიერება COVID-19-ით გამოწვეული კრიზისის პერიოდში“ ფარგლებში, მონაწილეობა მიიღო ქალთა საინფორმაციო ცენტრის, ფონდ Humandoc-ის (პოლონეთი) და პარტნიორი ორგანიზაციების მიერ ორ-

განიზებულ და ევროკავშირის მხარდაჭერილ ონლაინ კონფერენციაში. კონფერენციაში მონაწილეობდნენ დევნილი/კონფლიქტით დაზარალებული და ადმინისტრაციულ გამყოფ ზოლთან მცხოვრები მოსახლეობა, გენდერულ თანასწორობაზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები და სხვა დაინტერესებული პირები.

2020 წლის 27 ნოემბერს, ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლასთან თანამშრომლობით, გენდერული ძალადობის წინააღმდეგ 16-დღიანი კამპანიის ფარგლებში, გაიმართა დისტანციური პანელური დისკუსია თემაზე: „ქალებისა და გოგოების მიმართ ძალადობა COVID-19-ის კონტექსტში“. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა და ისაუბრა სამინისტროს მიერ გენდერული ნიშნით ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმებზე, მიღწეულ პროგრესსა და არსებულ გამოწვევებზე.

სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ ეთნიკურ უმცირესობებთან წელიწადში არანაკლებ 4 შეხვედრა ვერ განხორციელდა პანდემიური მდგომარეობის გამო.

### **საქმიანობა 3.2.2.2**

ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირებთან, თავშესაფრის მაძიებლებთან, ლტოლვილებთან, მიგრანტთა დროებით განთავსების ცენტრის თანამშრომლებთან წელიწადში არანაკლებ 4 შეხვედრა;

**შესრულების სტატუსი:** პრობლემურია

**პასუხისმგებელი უწყება:** სსიპ- იურიდიული დახმარების სამსახური, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირებთან, თავშესაფრის მაძიებლებთან, ლტოლვილებთან, მიგრანტთა დროებითი განთავსების ცენტრის თანამშრომლებთან შეხვედრების განხორციელება შეფერხდა COVID-19 პანდემიით შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე.

